პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 22 (1192) | ხუთშაბათი, 20 თებერვალი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

## ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მომავალი ფესტივალის შესახებ

მსოფლიო ფესტივალების ტრადიციათა შემდგომი განვითარების შესახებ სხვადასხვაგან გამოთქმული მრავალი სურვილის შესაბამისად, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალის მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფის სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის, არგენტინის, ბრაზილიის, იტალიის, ინდოეთის, ჩინეთის, მექსიკის, სირიის, სუდანის, საბჭოთა კავშირის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ცეილონის, ჩეხოსლოვაკიის, შავი აფრიკის, შვეციის, ეკვადორის, იაპონიის საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა, კულტურის დარგის მოღვაწეებმა, ეროვნული საფესტივალო კომიტეტების, ახალგაზრდული და სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

სხდომის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს VI ფესტივალის დიდი წარმატება და უცილო წვლილი ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში და გამოთქვეს აზრი VII ფესტივალის ჩატარების სასარგებლოდ.

სხდომაზე ერთსულოვანი აზრი შეიქმნა იმის შესახებ, რომ მომავალი ფესტივალი შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე მასში თავისუფალი მონაწილეობის საშუალებას მისცემს ყველა ახალგაზრდულ ორგანიზაციას. განხილულ იქნა საკითხი VII ფესტივალის ჩატარების თარიღის შესახებაც. საინიციატივო ჯგუფის აზრით მისი ჩატარება მიზანშეწონილია 1959 წელს ზაფხულში. მაგრამ ფესტივალის ჩატარების თარიღს, მის ხასიათს, ადგილს, პროგრამას, ფულადი სახსრების საკითხებს საბოლოოდ გადაწყვეტს საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი, რომლის დამფუძნებელი ასამბლეა გაიმართება 1958 წლის 20-23 მარტს.

ასამბლეის მოსამზადებლად შექმნილია საკონსულტაციო ჯგუფი 16 ქვეყნის წარმომადგენლობით. სხდომის მონაწილეთა დავალებით ამ ჯგუფის რამდენიმე წევრმა ინახულა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი კრეისკი და იმსჯელა მასთან ერთად ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალის ვენაში ჩატარების შესაძლებლობის შესახებ.

## ფრასა კავკასიონზე გადის

... სამერცხლის უღელტეხილიდან სვანი მოთხილამურეები დაეშვნენ. ისინი მთებს შუა ჩაჭედილი ღარით მოდიოდნენ ქვევით, სოფელ ურავის მიმართულებით. თოვლი იწვა შეშალლებულ ფერდობებზე, ლავგარდნები გადმოკიდებულიყვნენ და ნამქერი ტრიალებდა. რვაკაციან ჯგუფს ამჯერად წინ კეპლერ ხერგიანი მიუძღოდა. უეცრად ზვავი მოსწყდა მრისხანედ თავწამომდგარ შთას და საშინელი სისწრაფითა დ ხმაურით დაეშვა ღარისაკენ.

„კეპლერის სვლიგეზს გადაჰკვეთს ეს ოხერი! — ელვის სისწრაფით გაურბინა გონებაში ლაშქრობის ხელმძღვანელს შოთა ჩართოლანს, — ზუსტად იმ მიმართულებით მიდის!“.

იგივე გაიფიქრეს სხვებმაც, თვით კეპლერ ხერგიანმაც. დაყოვნების დრო აღარ იყო. საკითხი უბრალოდ და მკაცრად იდგა: ვინ გაასწრებს

**საბჭოთა არმიის მე-40 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 37-ე წლისთავის შესახვედრად.**

გადაკვეთის წერტილს — ზვავი თუ ადამიანი?! ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს კეპლერი და წინ გაქანდა. გაშმაგებული ვეფხვივით გვერდიდან უტევდა მას ზათქითა და გრუხუნით წამი-წამს მოახლოებული თოვლის მასა.

უკან მომავალთ კრიჭა შეეკრათ, სულგანაბულნი ელოდნენ ბრძოლის დასასრულს. „ვინ დაასწრებს?“ — ვინ იცის მერამდენეჯერ გაიელვა ამ აზრმა ერთი წამის განმავლობაში.

აი, კლდესთან მიიმწყვდია ადამიანი მრისხანედ ამოძრავებული თოვლის პირდაღებულმა სტიქიამ, მაგრამ კეპლერი არ შეჩერებულა, ტრამპლინისავით ასხლტა 25-მეტრიან კლდეზე და... იმავე წამს გადაშწყვეტი ნახტომით მიაწყდა გაშმაგებული მდევარი სამსხვერპლო ადგილს, ღრიალით გადაუარა კლდეს და ბრძოლის შემდგომი სურათიც მტვრად ამდგარ თოვლში გახვია....

როცა ზვავმა გადაიგრუხუნა, თანამოლაშქრეებიც ბრძოლის ადგილს მოაწყდნენ შმაგი რბოლით.

— „დაიღუპა?!“.

გარშემო შემოუარეს კლდეს და კეპლერ ხერგიანის მხიარული შეძახილიც შემოესმათ:

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, თხილამურები სრულიად უვნებლად გადარჩნენ!..

ჩას უკვე არხეინად გადაეტანა კრიზისის შემდეგდროინდელი დაძაბულობა და ეს-ესაა მეორედ საზრუნავ საგანს მიბრუნებოდა — თხილამურების მდგომარეობა შეემოწმებინა.

მართლაც და, გაუძნელდებოდათ მესტიელ მოთხილამურეებს თუნდაც ერთი თხილამურის გამოკლება: სათადარიგო ინვენტარი არ წაეღოთ, რადგან ძნელი და დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი, რომელზეც ყოველ ზედმეტ კილოგრამს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო უთხილამუროდ დარჩენილი ადამიანიც ხომ მეტად საეჭვოდ გახდიდა ლაშქრობის ნაყოფიერად დასრულებას მაშინ, როცა ძირითადი სიძნელე უკვე უკან იყო მიტოვებული — მესტიის, კალას, ზაგარის უღელტეხილისა, ტანას, ლობისა და სამერცხლის უღელტეხილის ტრასაზე. წინ კი შედარებით უფრო ადვილი გზა იყო გასავლელი: ურავი, ონი, კვაისა, გუფთა, სტალინირი და აქედან — თბილისისაკენ, გორის გავლით.

ეს საინტერესო და რთული მარშრუტით ლაშქრობა მესტიელმა სპორტსმენებმა საკუთარი ინიციატივითა და ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის აქტიური მხარდაჭერით, ორ ღირსშესანიშნავ თარიღს მიუძღვნეს: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 37-ე და საბჭოთა არმიის მე-40 წლისთავს.

6 თებერვალს გამოვიდნენ მესტიიდან მარშრუტის უფროსი ვ. ჩართოლანი, ლაშქრობის ხელმძღვანელი შ. ჩართოლანი, მოლაშქრეები ბ. და ს. ჩართოლანები, კ. და ბ. ხერგიანები და ს. და ზ. ნაკანები. 9 დღის განმავლობაში მიილტვოდნენ დასახული მიზნისაკენ კავკასიონის კალთების გადავლით, ებრძოდნენ ზვავსა და ქარბუქს, ყინვასა და ბუროსს და შეუპოვრად ტეხდნენ თხილამურებით ბარისაკენ ჩიმავალ თეთრ ყამირს. სამჯერ გადაუღობა მათ გზა სრულმა უხილავობამ და უკაცრიელ თოვლში წამოწეულმა ღამემ და სამჯერვე თავიანთივე სამსახურში ჩააყენეს „მტრად მოკიდებული“ თოვლის სტიქიონი: „ბუნაგები“ გაჩითხარეს მასში და თბილად გამოიმყუდროვეს.

ყოველ დასახლებულ პუნქტზე სიხარულითა და დახმარების მზადყოფნით ხვდებოდა მოსახლეობა მამაც მოლაშქრეებს და ყოველნაირად ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა საიუბილეო ლაშქრობის წარმატებით დამთავრებაში.

და აი, უკან დარჩა თოვლის სამყარო, რომელმაც სტალინირამდე ჩიაცილა ისინი. აქედან, უთოვლობის გამო, სპორტსმენები იძულებული გახდნენ თხილამურებით რბოლის „კომფორტი“ მანქანითა და მატარებლით მგზავრობაში გაეცვალათ და „დაქვეითებულნი“ წარმსდგარიყვნენ მზით განათებულ დედაქალაქში.

ლაშქრობა დამთავრდა! მისმა მონაწილეებმა ჩესტიელ მშრომელთა კეთილი სურვილები და მილოცვა გადასცეს თბილისის მცხოვრებთ და ასეთივე „ტვირთით“ უხვად აღჭურვილნი გაემართნენ უკან, მშობლიური, თოვლით დაფარული მთებისაკენ.

**შ. ჯულელი.**





ს უ რ ა თ ზ ე: სლალომის ტრასაზე.

## კ. ზვორიკინა-ვ. ბორისენკოს მატჩი

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ქალთა XIX საჭადრაკო ჩემპიონატში, რომელიც 1957 წლის შემოდგომაზე ჩატარდა, I-II ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატებმა კ. ზვორიკინამ (მინსკი) და ვ. ბორისენკომ (სვერდლოვსკი). დებულების თანახმად ჩემპიონის გამოსავლინებლად მათ შორის დაინიშნა დამატებითი მატჩი.

17 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა კ. ზვორიკინა-ვ. ბორისენკოს მატჩი. იმავე დღეს შედგა ორთაბრძოლის I პარტია. ბელორუსიის ჩემპიონმა ზვორიკინამ თეთრებით გაითამაშა ცენტრალური დებიუტი, რაც ძალზე იშვიათად გვხვდება თანამედროვე სატურნირო პრაქტიკაში. ბორისენკო არ დაბნეულა. იგი მეთოდურად ავითარებდა ფიგურებს. ზვორიკინამ ცაიტნოტში ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება. მსაჯებმა აღნიშნეს ზვორიკინას დამარცხება.

## ვინ ითამაშებს პორტოროჟში

პორტოროჟი — ასე ეწოდება ადრიატიკის ზღვის ნაპირზე მდებარე ლამაზ კურორტს, სადაც 1958 წლის 5 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე მოეწყობა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი.

ახლა, როცა თითქმის დამთავრებულია საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მიერ გაშართული ზონალური ტურნირები, შეიძლება დავასახელოთ პორტოროჟის საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი. ესენი არიან: გროსმაისტერები ტალი, პეტროსიანი, ბრონშტეინი, ავერბახი (ყველა საბჭოთა კავშირიდან), გლიგორიჩი, მატანოვიჩი (იუგოსლავია), პახმანი, ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), რეშევსკი (ამერიკის შეერთებული შტატები), საბო (უნგრეთი), პანო (არგენტინა), ოსტატები ბენკო (უნგრეთი), ნეიკირხი (ბულგარეთი), ფოლაფსონი (ისლანდია), სანგინეტი, როსეტო (არგენტინა), ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები), დეგრეიფი (კოლუმბია) და ვაიტონისი (კანადა). ამ შემადგენლობას დაემატება კიდევ ორი მოჭადრაკე. ერთი უნდა გამოირკვეს გროსმაისტერ ლარსენისა (დანია) და ოსტატ დონერის (ჰოლანდია) მატჩში, ხოლო მეორე — აზიის ქვეყნების ზონალურ ტურნირიდან, რომელიც ჯერ არც დაწყებულა.

საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ პორტოროჟიდან პრეტენდენტების მატჩ-ტურნირში, რომლის ჩატარება განზრახულია 1959 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაიშვება 6 გამარჯვებული. მატჩ-ტურნირში ითამაშებს აგრეთვე საბჭოთა გროსმაისტერი პ. კერესი.

## მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის

18 თებერვალს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა ე. ბიკოვა-ო. რუბცოვას მატჩ-რევანშის VII პარტია.

ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია არ დამთავრებულა. იგი გადადო რთულ მდგომარეობაში.

## ქართული ცირკის დებიუტი

მე-3 გვ.

ს უ რ ა თ ზ ე: აკრობატები ნინო ბერიძე და გურამ გარსევანიშვილი.



# სექციის პლენუმი და კონფერენცია

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე სპორტის ოსტატთა კლუბში ჩატარდა მძლეოსნობის სექციის პლენუმი და რესპუბლიკური მეთოდური კონფერენცია.

პლენუმმა განიხილა მძლეოსნობის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმის ანგარიში, მწვრთნელთა რესპუბლიკური საბჭოს და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თანამოხსენებები.

პრეზიდიუმის ანგარიში მომხსენებელმა ხაზი გაუსვა რესპუბლიკაში მძლეოსნობის ჩამორჩენის მრავალ მიზეზს, რომელთაგან ძირითადად დაასახელა სპორტის ამ სახეობის არამასობრიობა. ფაქტებისათვის შორს წასვლა არ გახდა საჭირო — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც რამდენიმე ათას სტუდენტს აერთიანებს, მხოლოდ 60 მძლეოსანი ჰყოლია, არადამაკმაყოფილებლად ყოფილა დაყენებული მძლეოსნობის მასობრიობაზე ზრუნვა სკოლებშიც. სკოლების დიდ უმრავლესობას არ გააჩნია მძლეოსნობისათვის საჭირო მინიმალური ინვენტარიც კი, ფიზაღზრდის მასწავლებლები კი სრულ უინიციატივობას იჩენენ ამ მეტად მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად.

მეტად დაბალ დონეზე დგას მძლეოსნობის განვითარება ქუთაისში. მთელი 1957 წლის მანძილზე ქუთაისს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში არც ერთი წევრი არ ჰყოლია.

მოყვანილ იქნა ფაქტები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს მწვრთნელთა სრულ უმოქმედობას. ასე მაგალითად. ზოგიერთი მწვრთნელის მიერ წლის განმავლობაში არ ყოფილა მომზადებული არც ერთი მესამე თანრიგოსანი.

მძლეოსნობის დაბალ დონეზე ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ რესპუბლიკაში საანგარიშო წლის მანძილზე მომზადდა მხოლოდ 2 სპორტის ოსტატი (ნაცვლად 4-სა) და 12 პირველთანრიგოსანი (ნაცვლად 60-სა). ჩვენს რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარების არასახარბიელო დონეს ადასტურებს ისიც, რომ რამდენიმე რესპუბლიკური რეკორდი მესამე და მეორე თანრიგის ნორმატივს ვერ გასცილებია.

ბ. დიაჩკოვისა და კ. მალიშკოვის თანამოხსენებებმა ნათელყვეს, რომ რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარებაში გაცილებით მეტი ნაკლია, ვიდრე მოხსენებაში იყო აღნიშნული. კერძოდ, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. მალიშკოვმა სამართლიანად აღნიშნა, რომ მძლეოსნობის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული სპორტული ღონისძიებების სწორად და მაღალ დონეზე ჩატარებაზე, კვალიფიციურ მსაჯთა აღზრდა-გამოყენებაზე. რესპუბლიკის ისედაც მცირერიცხოვან მაღალკვალიფიციურ მსაჯთაგან კი (8 საკავშირო და 23 რესპუბლიკური კატეგორია), ბევრი გაურბის თავის მოვალეობას. მან ასეთ მსაჯთა რიცხვს მიაკუთვნა ო. ლაკერბაი, ვ. ქადეიშვილი, თ. მაჩაბელი და სხვები.

როგორც გამოირკვა, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში და მათ შორის სოხუმსა და ქუთაისში არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი. პირველ მათგანში 18, ხოლო მეორეში მხოლოდ 30 მსაჯია აღრიცხვაზე.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა დაადასტურეს რესპუბლიკაში მძლეოსნობის არასახარბიელო მდგომარეობა და თავის მხრივ აღიარეს ის სავალალო ფაქტები, რომლებიც მნიშვნელოვნად უშლიან ხელს მძლეოსნობის განვითარებას. ქუთაისის ძალოსნური სექციის წარმომადგენელმა წერეთელმა თამამად მოუთხრო, რომ ქუთაისის მძლეოსნებს მხოლოდ ერთი სტადიონით (და ისიც ნაწილობრივ) სარგებლობის საშუალება აქვთ. არსებული სამი სტადიონიდან ერთზე აშენდა სკოლის შენობა, ახალი სტადიონი გამოუყენებელია უწყლობის გამო და მხოლოდ „დინამოს“ სტადიონია ასე თუ ისე გამოსადეგარი. რა უნდა ითქვას მასობრიობაზე, როდესაც მთელ ქუთაისში მხოლოდ 9 მძლეოსანი ქალია. უარესი მდგომარეობაა მძლეოსნური ინვენტარის მხრივ. ანგარიშ დოტს უფრო წააგავს, ვიდრე სანამდვილეს, როდესაც მთელ ქალაქში მხოლოდ 1 ჭოკი და რამდენიმე თამასაა. თარჯების ორად ორი კომპლექტი კი, რაც ქუთაისელ თარჯიმრბენთა მთელ ავლადიდებას წარმოადგენს, ცხრაკლიტულშია გამომწყვდეული და მხოლოდ შეჯიბრებებისათვის ინახება.

აფხაზეთის წარმომადგენელმა ქარსელიანმა პლენუმის ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ მძლეოსნობის განვითარებისა და მასობრიობისათვის საჭიროა რაიონებშიც ტარდებოდეს რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებები. სოხუმში 1957 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა არც ერთი ასეთი სახის ღონისძიება, გარდა კროსისა. ასეთივე აზრი გამოთქვა თალაკვაძემ (ფოთი).

მძლეოსანთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე ილაპარაკა გიორგაძემ და აღნიშნა, რომ ამ მუშაობის სისუსტეზე ლაპარაკობს ის ამორალური მოვლენები, რასაც ადგილი ჰქონდა მძლეოსანთა შორის გასულ წელს. პლენუმმა დასახა ღონისძიებები რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარებისათვის და იმ ღონისძიებათა ჩატარების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია ჩატარდეს მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში.

დასასრულ პლენუმმა აირჩია მძლეოსნობის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმი (თავმჯდომარე დ. იოსელიანი), მწვრთნელთა რესპუბლიკური საბჭოს (თავმჯდომარე ო. ლაკერბაი), და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის (თავმჯდომარე ა. ხუციშვილი) ახალი შემადგენლობა.

მეთოდურ კონფერენციაზე მრავალი საინტერესო მოხსენება იქნა მოსმენილი, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მწვრთნელებს და მძლეოსნებს რესპუბლიკაში მძლეოსნობის გაუმჯობესების საქმეში.

## ბავშვთა სამკურნალო ფიზკულტურული დისპანსერი

ყველასათვის როდია ცნობილი, რომ სამკურნალო ფიზკულტურით არა მარტო ფუნქციონალურ, არამედ ორგანიულ დაავადებათა მკურნალობაც შეიძლება. 36 წელია, რაც ამ მიზანს ემსახურება სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერი, რომელიც მოთავსებულია ბალნეოლოგიური კურორტის შენობაში.

დისპანსერი მომსახურებას უწევს როგორც თბილისის, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსულ ავადმყოფებს.

არის დაავადებანი, რომელთა ერთადერთ და აუცილებელ სამკურნალო საშუალებას სპეციალური ფიზიკური ვარჯიშები და მოძრაობანი წარმოადგენს. და აი, მათ განსაკურნავად, მუსიკის თანხლებით ბავშვებს უტარდებათ მკურნალობა ფიზკულტურის სპეციალური გაკვეთილის სახით.

გამოცდილი მეთოდისტები უმცროსი ასაკის ბავშვთათვის ვარჯიშებს უხამებენ სხვადასხვა თამაშობებს, რათა მოსაწყენი არ იყოს პატარებისათვის ის სპეციალური ვარჯიშები, რომლებიც მათ ენიშნებათ დიაგნოზის მიხედვით.

სამკურნალო ფიზკულტურის მეოხებით აქ ებრძვიან ხერხემლის გამრუდებას, პოლიომიელიტის ნარჩენ მოვლენებს, ჭარბ სიმსუქნეს, კონტრაქტურებს (სახსრების შეზღუდულობა). საერთო სისუსტეს, ფიზიკურ და გონებრივ განუვითარებლობას და სხვ.

**ვ. გაგოშიძე,**
**სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი.**

* * *

**სურათზე:** ბავშვები ვარჯიშობენ.

### ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

## დიდი კოლექტივის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფიზკულტურულმა საბჭომ გარკვეული მუშაობა ჩაატარა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განვითარებისათვის. ქარხნის გუნდები წარმატებით გამოდიან საქალაქო ღონისძიებებზე: მოკრივეებმა „მეტალურგის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მოიპოვეს მესამე გუნდური ადგილი, ასეთივე მაჩვენებლებით გამოვიდნენ ჩოგბურთელები, სპორტსმენები საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსანთა პირველობაზე და სხვ. მაგრამ ყველა ეს მიღწევა იმ შესაძლებლობებთან შედარებით, რომელიც ამ კოლექტივს გააჩნია, წვეთია ზღვაში. ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივიდან ფიზკულტურას მისდევს მხოლოდ ორი ათასი ახალგაზრდა, რომელთა შორის 165 ქალია (?). წლიდან წლამდე ნელი ტემპით იზრდება ფიზკულტურელთა რიცხვი, საამქროთა ძირეული საბჭოები არასათანადო ყურადღებას აქცევენ სპორტში მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმას. 1957 წელს სპორტსაზოგადოება „მეტალურგის“ წევრთა რიცხვი მხოლოდ 45 კაცით გაიზარდა.

სპორტისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ ფიზკულტურის საქარხნო საბჭომ გასულ წელს ვერ შეძლო მოზარდთა და პირველთანრიგოსანთა მომზადება მაშინ, როცა აქ საკმაო რაოდენობით ჰყავთ მწვრთნელები. მწვრთნელების — სმელიანსკის (ფრენბურთი) და ავეტისიანის (კრივი) სექციებს შარშან არც ერთი თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ.

ქარხანაში არასათანადო ყურადღება ექცევა ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის № 329 ბრძანების ცხოვრებაში გატარებას. არ ეწყობა შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში საამქროთა შორის წრიული სისტემით მთელი წლის განმავლობაში. ჩატარებული ღონისძიებები ეპიზოდურ ხასიათს ატარებენ და არამასობრივია.

ქარხნის სპორტღონისძიებათა კალენდარის თანახმად აქ 11 საქარხნო პირველობა უნდა გამართულიყო, ფაქტიურად კი მხოლოდ 8 ღონისძიება ჩატარდა. მარტო მძლეოსნობაში მონაწილეობა მიიღო 7 საამქროს 11 სპორტსმენმა (!) ტანმოვარჯიშეთა საქარხნო პირველობა ჩატარდა სამჭიდში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არც ისე რთული იყო, შეჯიბრებაზე მხოლოდ 3 საამქროს 10 წარმომადგენელი გამოვიდა. საქარხნო სპარტაკიადას, რომელიც სპორტის ოთხ სახეობაში გაიმართა, წინ არ უძღოდა სპარტაკიადები საამქროებში, რაც ხელს შეუწყობდა საქარხნო სპარტაკიადის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარებას. ამის გამო საქარხნო სპარტაკიადებში გამარჯვებისათვის იბრძოდა მხოლოდ 192 სპორტსმენი. დაბალი იყო მონაწილეთა მაჩვენებლები. ხშირია შემთხვევა, როცა ქარხნის ნაკრები გუნდების მაღალთანრიგოსანი სპორტსმენები თავს არიდებენ საქარხნო ღონისძიებებში მონაწილეობას, რაც შეჯიბრებებს უინტერესოსა და უფეროს ხდის.

ფიზკულტურის საქარხნო საბჭო არასათანადოდ ზრუნავს საზოგადოებრივი კადრების მომზადებისათვის, იშვიათად ტარდება ისეთი მასობრივი ღონისძიებები, როგორიცაა კომკავშირულ-პროფკავშირული კროსი, ტურისტული ლაშქრობები და ა. შ.

საწარმოო ვარჯიში დღეისათვის დანერგილია მხოლოდ ერთ საამქროში. საქარხნო საბჭო რომ ზემოაღნიშნულ საკითხებს რეგულარულად იხილავდეს თავის სხდომებზე, ღებულობდეს სათანადო ღონისძიებებს მუშაობის გამოსწორებისათვის, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ადგილი აღარ ექნებოდა ასეთ ჩამორჩენას.

რესპუბლიკური კომიტეტის სხდომამ, რომელმაც მოისმინა მეტალურგიული ქარხნის ფიზკულტურელთა საკითხი, აღნიშნა საშეფო ორგანიზაციის — ფიზკულტურის ინსტიტუტის — სუსტი დახმარება მეტალურგებისადმი, რუსთავის საქარხნო კომიტეტის სუსტი კონტროლი და უმოქმედობა და სხვა. აღნიშნულ საკითხზე ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ჟურნალმა „ფუსბალ ვოხემ“ (გდრ) გამოაქვეყნა წერილი და სურათები თბილისის 35-ე საშუალო სკოლის შესახებ, რომელსაც შემოკლებით აქ ვაქვეყნებთ.

* * *

თბილისის „დინამო“ დიდ გასაჭირში იყო. მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრა კარწინ იდგა და ორივე მეკარე კი მწყობრიდან იყო გამოსული. მარღანიას ტრავმა ჰქონდა მიღებული, ხოლო პირაევი ავად იყო. ერთი გამოსავალი დარჩენოდათ თბილისის დინამოელებს: თავიანთი კარი მიენდოთ ახალგაზრდა კოტრიკაძისათვის. ეს ასეც მოხდა. თუმცა მრავალგზის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“ შეხვედრა პატარა ანგარიშით (2 : 1) მოიგო, მაგრამ მწვრთნელი და ამხანაგები მაინც ერთი აზრისანი იყვნენ, რომ ახალგაზრდა მეკარემ თავისი დებიუტი „ა“ კლასში საუცხოოდ ჩაატარა. კოტრიკაძე სრულიად ახალგაზრდა იყო. მან ის-ის იყო დაამთავრა თბილისის 35-ე ფეხბურთის საშუალო სკოლის მე-10 კლასი...

თბილისის 35-ე საშუალო სკოლა ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაშიც, როგორც „ფეხბურთის ტექნიკუმი“. აქ აღიზარდა ბევრი ცნობილი ოსტატი: შ. იამანიძე, მ. მესხი, ა. კოტრიკაძე, ა. კილაძე, მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი ზ. კალოევი და სხვები. ბევრი ახალგაზრდა თამაშობს თბილისის ოფიცერთა სპორტული კლუბის და ქუთაისის „ლოკომოტივის“ გუნდებში.

მიღებული ცნობებით თბილისის 35-ე საშუალო სკოლაში გაერთიანებულია ფეხბურთით გატაცებული ახალგაზრდები (11 წლიდან 18 წლის ასაკამდე) ამ სასწავლებელში მხოლოდ საუკეთესო ბავშვებს იღებენ.

პატარები იწყებენ აკრობატიკითა და ტანვარჯიშით, მოკლედ — ყველა შესაძლებელი მოძრაობით, რომლებიც მომავალ ფეხბურთელებს ჯანმრთელობას და ძალას გაუმაგრებს, მათ ზუსტ მოძრაობებს შეაჩვევს. თავისთავად ცხადია, რომ ამ პერიოდში მათ შესაძლებლობა ეძლევათ პატარა მოედანზე ითამაშონ ფეხბურთი ისე, რომ თავი არ დაიტვირთონ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული ცირკის დებიუტი

საზეიმო განწყობილება სუფევდა გუშინ, 19 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო ცირკში.

... მას შემდეგ, რაც ორკესტრმა ცნობილი ქართული მელოდიები შეასრულა, მაღალი მხატვრული გემოვნებით გაფორმებულ, ქართული ეროვნული კოლორიტით შეხავებულ საცირკო სარბიელზე ელვის სისწრაფით შემოიჭრნენ დოლით ხელში მედაფდაფენი და ჟრუანტელის მომგვრელი, ამაღელვებელი გამოსახახებელი რიტმებით მოიხმეს მაყურებელთა წინაშე შემსრულებლები.

და აი, ისინიც: საზეიმო მარშის ხმაზე გამოდის სხვადასხვაგვარ ქართულ-ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი კოლონა. მოდის რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. ცხომელიძე; მოდის ი. გოლიაძის მიერ აღზრდილი ცვლა — ისევ გოლიაძეები, რომლებიც თავიანთი მხცოვანი ხელმძღვანელის ტრადიციებს გააგრძელებენ აქ, ამ არენაზე. აი, სახელგანთქმული ა. დადეშქელიანიც, რომელიც მცირე ხნის შემდეგ თავის ვირტუოზულ ნომრებს წარმოადგენს. აქ არიან: აკრობატთა ჯგუფი გ. გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით, ღერძზე მოვარჯიშენი — აღდგომელაშვილთა მთელი ოჯახი, ეკვილიბრისტები მოშვებულ მავთულზე — ცოლ-ქმარი ლალაშვილები, აკრობატული ხორუმის შემსრულებელნი, ძველი თბილისის ეგზოტიკური წარმომადგენელი — კინტო და თანამედროვე „სტილიაგა"...

ამ დღეს ყოველი მათგანი რაღაც საზეიმო-აღელვებული განწყობილებით, პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობით იყო შეპყრობილი. ეს გასაგებიცაა: ისინი ხომ ახალი კოლექტივის, თავიანთი კოლექტივის — საცირკო დასის დაბადებას დღესასწაულობდნენ და ამ დებიუტის უშუალო მონაწილენი იყვნენ.

მზადება კარგა ხანია დაიწყო. მასში ჩვენი რესპუბლიკის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო ჩაბმული: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი ლ. გუდიაშვილი, კომპოზიტორები ს. ცინცაძე და ბ. კვერნაძე, ქორეოგრაფი ჯ. ბაგრატიონი და სხვ. საცირკო ხელოვნების წარმომადგენლებთან ერთად მათი ერთობლივი მუშაობით თვეების განმავლობაში იწვნებოდა ერთმანეთში ქართული მუსიკა, მხატვრობა, ქორეოგრაფია, ფოლკლორი, სხვადასხვა ხასიათის წარმოდგენები, რის შედეგადაც, პირველად ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში, შეიკრა ქართული ხელოვნების ახალი თაიგული — პირველი ეროვნული ცირკი.

უდავო იყო მისი პირველი ნაბიჯების წარმატება. მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს ახლადფეხადგმული საცირკო კოლექტივის დებიუტი და შემდგომი სრულყოფა, გაფურჩქვნა და აყვავება უსურვეს მას.

და ამ საერთო წარმატებაში მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენმა სპორტსმენებმაც, სპორტმა.



ქართული საცირკო კოლექტივის პროგრამაში, რომელიც ერთი განყოფილებისაგან შედგება, მეტად საპატიო და ფართო ადგილი აქვს დათმობილი სპორტული ხასიათის და ელემენტების შემცველ ნომრებს. და ჩვენდა სასიხარულოდ, სამაყოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ეს ნომერი მაღალ საცირკო-სპორტულ დონეზე ტარდება და მაყურებელთა საყოველთაო მოწონებას იმსახურებს. მათ შორის, უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია მოშვებულ მავთულზე ლიუდმილა და მიხეილ ლალაშვილების ეკვილიბრისტული ნომრები, რომლებშიც შესანიშნავადაა შერწყმული მოქნილობა, წონასწორობის დაჭერის მაღალი ტექნიკა, ჟონგლიორული ელემენტები. დაძაბულ და მიმზიდველ, შთამთქმელ ატმოსფეროს ქმნის მაყურებელთა შორის დაუმაგრებელ კიბეებზე ეკვილიბრისტ გოლიაძეთა გამოსვლები. ამ გამოსვლებსაც ადამიანის მიერ წონასწორობის დაჭერის ნაღდი შესაძლებლობა უდევს საფუძვლად. კიბის თავზე მდგარი ეკვილიბრისტები თანმიმდევრულად ადიან შემაღლებაზე ჯერ მარტო, შემდეგ სხვადასხვა აკრობატული ილეთის შემსრულებელ პარტნიორებთან ერთად და ბოლოს — მათთან ერთადვე ბარიერების დაქანებულ სიბრტყეზე რთულ ჩამოსვლებს. პარალელურად აღდგმულ სამ ღერძზე ძნელ ვარჯიშებს ასრულებს ტანმოვარჯიშეთა სამეული. მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს აკრობატთა ორივე ჯგუფის გამოსვლა, რომელთაგან ერთს ნ. ბერიძე და გ. გარსევანიშვილი შეადგენენ, ხოლო მეორეს — იგივე გ. გარსევანიშვილი, ა. მჭედლიშვილი, შ. ძამიშვილი და ვ. ნატროშვილი.



დასასრულ, ჩვენი სურვილები და შენიშვნებიც უნდა მოვახსენოთ ქართული საცირკო დასის მესვეურთ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მის პროგრამაში არავითარი ადგილი არ აქვს დათმობილი ეროვნული სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა ჯირითი, ფარიკაობა და ა. შ., რომლებიც საცირკო ხელოვნებისათვის მდიდარ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს შეიცავენ. წარმოდგენაში სრულიად გამოუყენებელია აგრეთვე ისეთი ძველი ქართული სატირიკულ-იუმორისტული სანახაობების ელემენტები, როგორიცაა ყეენობა, ბერიკაობა და სხვ., რომლებიც დიდად გაამდიდრებდნენ, კიდევ უფრო თვითმყობადსა და საინტერესოს გახდიდნენ ქართული ცირკის გამოსვლებს.

**შ. ვარდოსანიძე**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** გოლიაძეები მოძრავ კიბეზე ვარჯიშობენ. (ზევით მარჯვნივ) — რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. ცხომელიძე. ქვევით — ა. დადეშქელიანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ზამთრის პირველობა კალათბურთში

...ეჯიბრების მესამე ტურის ერთ-...ი ცენტრალური შეხვედრათაგანი ...აჭარისა და ქუთაისის ვაჟთა ...დების მატჩი. ქუთაისის სპორტ-...ები მოწინააღმდეგეებს აჯობნი-...ნ როგორც ტექნიკურად, ისე ...ტიკურად. ისინი უფრო გააზრე-...ლად, კომბინაციურად უტევდნენ ...ელთა ფარს, მაგრამ მაინც და-...ცხდნენ. ამ წაგების (73:75) მთა-...ი მიზეზი ისაა, რომ ქუთაისელმა ...რტსმენებმა ვერაფერი მოუხერ-... აჭარის გუნდის მაღალი ტანის ...რტსმენებს, ალტაბაევს, კაზან-...ნს და ხოსნიკოვს. იმისათვის, ... ქუთაისელთა კარგად ...მზადებული და ტექნი-...ი გუნდი მომავალშიც ... დაიჩაგროს, საჭიროა შემადგენ-...ბაში მაღალი ტანის კალათბურ-...ების შეყვანა. ამ მატჩის საუ-...ესო მოთამაშე ქუთაისელი ა. ხა-...ელიძე იყო, რომელმაც თავის ...ს 31 ქულა მოუტანა.

...ხელმწიფო უნივერსიტეტისა და ...კულტურის ინსტიტუტის ვაჟთა ...დების შეხვედრა შეჯიბრების ...ტრალური მატჩი იყო. თამაშის ...ველ ნახევარში ოდნავი უპირა-...ობა ფიზკულტურის ინსტიტუ-... სტუდენტთა მხარეზე იყო, რო-...მაც მოიგეს ტაიმი სამი ქულით. ...ე ნახევარშიც ერთხანს ინიცია-... ფიზკულტურის ინსტიტუტის ... იყო. მაგრამ უნივერსიტეტის ...მომადგენლებმა შეძლეს თამაშის ...ტეხა და მოიპოვეს საპატიო ...არჯვება 67:60. სამტრედიის გუნ-...გებდა რა შეხვედრის პირველ ...ვარს ფოთთან, შემდგომში გააქ-...ურდა და ბრძოლა თავის სასარ-...ლოდ დაამთავრა — 59:55.

...ჯიბრების მეოთხე ტურში ყვე-...თვის მოულოდნელად აჭარის ... გუნდმა უნივერსიტეტის წინა-...ეგ ანგარიში წაიყვანა — 16:0. ...ტომში სტუდენტებმა შეძლეს თამაშის გარდატეხა და პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს 33:31. მეორე ნახევარში უნივერსიტეტის გუნდმა შეინარჩუნა უპირატესობა და გაიმარჯვა — 78:66. მორიგი გამარჯვება მოიპოვა სამტრედიის გუნდმაც. ამჯერად მან დაამარცხა პედინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივი — 70:58.

დრამატულად წარიმართა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და აჭარის გუნდების მატჩი. თამაშის დამთავრებას 6-7 წუთი აკლდა, როდესაც სტუდენტები წინ იყვნენ 11 ქულით, მაგრამ მატჩის დასკვნით ნაწილში მათ დაკარგეს ინიციატივა და წააგეს შეხვედრა — 40:47.

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები: **ვაჟები** — პედინსტიტუტი (თბილისი)-აფხაზეთი—72:57, ქუთაისი-ფოთი—65:57, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-აფხაზეთი — 80:41.

**ქალები** — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)-გორი — 62:16, ქუთაისი-პედაგოგიური ინსტიტუტი (თბილისი) — 48:38, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-წულუკიძე — 38:23, სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)-აფხაზეთი — 52:34, პედაგოგიური ინსტიტუტი (თბილისი)-წულუკიძე — 56:49, ქუთაისი-გორი — 45:29...

**ლ. ქართველიშვილი**



**ს უ რ ა თ ზ ე:** აჭარისა და თბილისის პედინსტიტუტის ქალთა გუნდების შეხვედრა.

## ორი თარიღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 37-ე და საბჭოთა არმიის შექმნის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად თბილისში და რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში ხშირად იმართება სპორტული შეჯიბრებები.

თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონში გაიმართა საშუალო სკოლების სპორტსმენთა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს 30-ე სკოლის სპორტსმენებმა, რომლებმაც 500 შესაძლებლიდან 463 ქულა მოაგროვეს. მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს 23-ე და 38-ე საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა. პირად პირველობაში ქულათა თანაბარი რაოდენობა (95 100-დან) დააგროვეს 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ თ. ლეკიშვილმა, და 30-ე სკოლელმა ა. ნატროშვილმა, რომლებმაც გაიყვეს პირველი და მეორე ადგილები.

შეჯიბრებაში მონაწილე 44 მოსწავლიდან სათანრიგო ნორმატივი შეასრულა 16-მა.

**ვ. კაკაურიძე**

*ჩვენ გვწერენ*

# საკუთარი სტადიონი იჯარით

როცა რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ძალღონეს არ ზოგავდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის, ოჩამჩირელებმაც სწრაფი ტემპით დაიწყეს საკუთარი სტადიონის მშენებლობა. რაიონის სპორტსმენთა აქტივი — კოლმეურნეები, კომკავშირლები, მოსწავლეები ბევრს შრომობდნენ საკუთარი ბაზის მოსაწყობად, რეგულარულად იმართებოდა კვირაობები, გამოყოფილ იქნა საკმაო რაოდენობით თანხა და მოკლე ხანში სტადიონის ირგვლივ აშენდა გალავანი, ჩამოკიდეს რკინის კარი, მოეწყო ტრიბუნების ნაწილი და... ყველაფერი დამთავრდა.

არ იქნა და არაფერი ეშველა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების, მძლეოსნური სექტორების მოწყობას, რადგან ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა ფეხბურთის მოედნის მოწყობის შემდეგ თავი ვალმოხდილად ჩათვალა და ზედმეტად მიიჩნია სტადიონის შემდგომ კეთილმოწყობაზე ზრუნვა. იყო შემთხვევა, როცა სტადიონზე სავარჯიშოდ მოსულ სპორტსმენებს რკინის კარებზე დიდი საკეტი ხვდებოდათ. გასაღები კი კომიტეტის თავმჯდომარის ჯიბეში ინახებოდა.

ადგილობრივმა ფიზკულტურელებმა არა ერთხელ მივმართეთ დახმარებისათვის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს, მაგრამ კონკრეტული დახმარება დღემდე არ მიგვიღია. ბოლოს საქმე ისე მოეწყო, რომ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მინჯიამ რაიონის ხელმძღვანელთა თანხმობით სტადიონი მოსაწყობად გადასცა „შრომითი რეზერვების" ცენტრალურ საბჭოს. რა თქმა უნდა, ყველა ადგილობრივი ფიზკულტურელი მიესალმა ამგვარ წამოწყებას, მაგრამ რას ვიფიქრებდით, თუ საკუთარ სტადიონზე ვარჯიში შეუძლებელი გახდებოდა, რადგან „შრომითი რეზერვების" ცენტრალურმა საბჭომ აგვიკრძალა საკუთარი ბაზის გამოყენება, ხოლო სტადიონის დირექტორმა ა. მინჯიამ (რომელმაც კომიტეტის თავმჯდომარეობას ეს თანამდებობა არჩია) ბაზის სარგებლობისათვის იჯარა მოგვთხოვა.

**ა. მუნჩავა**

## რაიონის თასზე

ლანჩხუთში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა თასის გათამაშება რაიონის სკოლების კალათბურთელთა შორის. მიმდინარე წელს ამ გათამაშებაში მონაწილეობდა ჭაბუკ კალათბურთელთა 9 გუნდი.

პირველ ზონაში უძლიერესი აღმოჩნდა ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის კალათბურთელთა I გუნდი, მეორე ზონაში — სუფსელი ჭაბუკები. ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვეს ლანჩხუთელებმა.

**ბ. ტულუში**



საბჭოთა არმიის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად 12 თებერვალს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში შედგა დედაქალაქის თასის ფინალი სპორტული ტანვარჯიშის მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში. პირველი ადგილი ქალთა შორის მოიპოვა სპორტის ოსტატმა, მოსკოველმა ლ. ერიომინამ.

სურათზე: ლ. ერიომინა დვირზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ლ. დორენსკისა.

# რესპუბლიკური შეჯიბრება — ვიწრო მასშტაბით

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზი ორი დღის განმავლობაში საინტერესო შეჯიბრების ასპარეზს წარმოადგენდა. რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენები იბრძოდნენ „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობისათვის სამბოში.

სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მხოლოდ ხუთი რაიონი მონაწილეობდა, რომელთაგან ხაშური და კასპი ორ-ორი, და მცხეთა და ახმეტა მხოლოდ თითო მონაწილით იყვნენ წარმოდგენილნი, მაშინ როცა თბილისის გარეუბანმა 24 მოჭიდავე გამოიყვანა.

იმის გამო, რომ ქვემსუბუქ წონაში მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაგროვდა, შეჯიბრებაც ამ წონითი კატეგორიით დაიწყო.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა ახმეტელ ვ. ჩიქვილაძეს, რომელმაც ბრძოლები მაღალტექნიკურად ჩაატარა და დიდი უპირატესობით მოუგო გარეუბნელებს ვ. ფიცხელაურს, გ. გიგაურს, თ. ლეკიშვილს, ხაშურელ თ. პაპუაშვილს და მხოლოდ გ. ნავროზაშვილთან შეხვედრაში დასჯერდა მცირე უპირატესობით გამარჯვებას. მეორე ადგილისათვის იბრძოდნენ თ. პაპუაშვილი და კასპელი გ. ნავროზაშვილი. მათ მოლოდინი არ გაამართლეს. პასიურად იბრძოდნენ, რისთვისაც ორივეს დამარცხება მიესაჯა. მეორე ადგილზე ნავროზაშვილი აღმოჩნდა, ხოლო მესამეზე — თ. პაპუაშვილი.

უმჩატესი წონის მოჭიდავეთაგან უძლიერესი აღმოჩნდა მცხეთელი ზ. მონასელიძე. მეორე ადგილი გარეუბნელ ჩ. ქუცნიაშვილს ხვდა წილად.

მჩატე წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, სპორტის ოსტატმა ლ. კაციაშვილმა (კასპის რაიონი) ყველა შეხვედრა სუფთა გამარჯვებით მოიგო და პირველობა დაისაკუთრა. მეორე ადგილი დაიკავა გარეუბნელმა ნ. კოტორაშვილმა.

მსუბუქი წონის მოჭიდავეთაგან თავი გამოიჩინეს ნ. მაისურაძემ და გ. სესიაშვილმა, რომლებმაც ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს და პირველობის ბედიც ერთმანეთთან შერკინებაში გადაწყვიტეს. ქულებით გაიმარჯვა ნ. მაისურაძემ. აღსანიშნავია, რომ ამ წონით კატეგორიაში მთლიანად გარეუბნელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

ქვესაშუალო წონაში საქართველოს ჩემპიონმა ქართულ ჭიდაობაში ა. ოდიშვილმა თავისი უპირატესობა აქაც დაამტკიცა და პირველობა მოიპოვა. მეორე ადგილი ისევ გარეუბნელ სპორტსმენს, კარგი მონაცემების მქონე გ. გელაშვილს დარჩა.

საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა მცხეთელი ვ. ქაფიაშვილი, მეორე ადგილზე კი თ. გრიგოლაშვილი (ხაშური) გამოვიდა.

მონაწილეთა გამოუცხადებლობის გამო ქვემძიმე წონა უჩემპიონოდ დარჩა.

ხუთ წუთს გაგრძელდა მძიმე წონის მოჭიდავეთა ა. როსტიაშვილისა და ს. ბენაშვილის (ორივე გარეუბნიდან) შერკინება. ამ ხუთი წუთის განმავლობაში როსტიაშვილმა ორჯერ შებოჭა მოწინააღმდეგე, ორი ქულა დააგროვა, ხოლო შემდეგ მტკივნეული ილეთით აიძულა მეტოქე დანებებულიყო.

შეჯიბრებაზე გამოვლინდნენ უძლიერესნი, რომელთაგან შემდგარი ნაკრები გუნდი სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობის მისაღებად აპრილში გაემგზავრებიან ქ. მინსკში.

ა. ბარნოვი

## არჩევნებს მიუძღვნეს

ჯუღაანთ საშუალო სკოლაში საინტერესოდ ჩატარდა სკოლის ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მე-9 კლასის გუნდმა.

ბ. ბერიაშვილი

## კარგი ინიციატივისათვის

საქართველოს რესპუბლიკური საჭადრაკო სექცია და რესპუბლიკის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი მადლობას უცხადებს თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის კომკავშირის ორგანიზაციას, სააბონენტო კავშირის ტექნიკოსს გ. კუპატაძეს, რიგის ტელეგრაფის ცვლის უფროსს ი. ბოგდანოვსა და მორიგე ტელეგრაფისტს ა. გრიგორიევას, რომელთა ინიციატივით 13 თებერვალს მოეწყო რიგიდან საბჭოთა კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატის XIX ტურის გათამაშების დროს სუეტინ-გურგენიძის პარტიის სვლების გადმოცემა. ამ სვლების ჩვენება მიმდინარეობდა იმავე საღამოს თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში.

## ქრონიკა

კვირას, 23 თებერვალს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში შედგება სპორტული ტანვარჯიშის რესპუბლიკური სექციის პლენუმი.

დასაწყისი დღის 12 საათზე.

# თანაგრძნობას უცხადებენ „მანჩესტერ იუნაიტედს"



„მანჩესტერ იუნაიტედი" არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ გუნდად, რომელიც დროებით ითვლება ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად ინგლისსა და მთელს მსოფლიოში. ფეხბურთის სამშობლოში ეს გუნდი წლების განმავლობაში დგას მოწინავეთა რიგებში.

თავისი არსებობის მანძილზე „მანჩესტერ იუნაიტედს" არაერთხელ მოუპოვებია ჩემპიონობა და თასი. გუნდმა ჩემპიონობა პირველად დაისაკუთრა 1907/8 წლებში, შემდეგ 1910/11, 1951/52, 1955/56 და 1956/57 წლებში.

თითქმის სამოცდაათი წელია, რაც არსებობს ეს კლუბი — ერთი უძველესთაგანი მსოფლიოს ყველა კლუბს შორის. იგი დაარსდა 1880 წელს. მას მაშინ ერქვა „ნიუტონ ჰიტ" („ნიუტონის დარტყმა"). გუნდმა მალე მოიპოვა ინგლისის I ჯგუფში თამაშის უფლება, მაგრამ ამ ჯგუფში მხოლოდ 2 წელს გაუძლო სასტიკ ბრძოლებს. რამდენიმე წლის კრიზისის შემდეგ კლუბმა 1902 წელს იზეიმა ნაღდვილი ტრიუმფი და მაშინ დაერქვა მას „მანჩესტერ იუნაიტედი".

ინგლისში გავრცელებული ტრადიციის წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობს დაბალი კლასის კლუბებიდან პერსპექტიულ მოთამაშეთა აყვანას, გუნდის მწვრთნელმა მატ ბესბიმ გადაწყვიტა თვითონ აღეზარდა ცვლა თავისივე კლუბის ახალგაზრდებისაგან. ამ გამოცდილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ახალგაზრდობამ შესანიშნავი წრთობა მიიღო და მალე „მანჩესტერ იუნაიტედმა" ფართოდ გაითქვა სახელი.

როგორც ცნობილი გახდა, „მანჩესტერ იუნაიტედის" ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ შედგა იუგოსლავიის ფეხბურთელთა კლუბის „ცრვენა ზვეზდას" (რომელთანაც 5 თებერვალს ჰქონდათ ინგლისელებს მატჩი) ხელმძღვანელების კრება, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — წინადადება მიეცეს ევროპის ჩემპიონების თასის ორგკომიტეტს წლევანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადებულ იქნას ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი". კლუბის ხელმძღვანელობამ ორგკომიტეტს გაუგზავნა ტელეგრამა ამ წინადადებით.

ევროპის ფეხბურთის კავშირის გენერალურმა მდივანმა პიერ დოლმეიმ (საფრანგეთი) მიიღო „ცრვენა ზვეზდას" წინადადება: გამოცხადებულ იქნას „მანჩესტერ იუნაიტედი" თასის საპატიო მფლობელად. მან განუცხადა კორესპონდენტებს, რომ 1 მარტს ბრიუსელში დანიშნულია კავშირის კრება, რომელზეც განიხილება ეს წინადადება.

მადრიდის კლუბის „რეალის" თავმჯდომარემ ს. ბერნაბომ აგრეთვე შეიტანა წინადადება „მანჩესტერ იუნაიტედისათვის" თასის მინიჭების შესახებ და დაუმატა, რომ შეწყდეს მატჩები ტრაგიკულად დაღუპულთა თანაგრძნობის ნიშნად.

ლონდონში 7 თებერვალს „მანჩესტერ იუნაიტედის" კლუბის თავმჯდომარემ ჰარდმანმა განაცხადა, რომ მისი გუნდი შეძლებისდაგვარად განაგრძობს თამაშებს ინგლისის პირველობაზე და თასზე.

მან დაუმატა, რომ იმ ფეხბურთელებს გარდა, რომლებიც მოხვდნენ მიუნხენის კატასტროფაში, კლუბს კიდევ ჰყავს 23 ფეხბურთელი. აი მისი სიტყვები: „მატჩების წაგებების მიუხედავად, ჩვენ მაინც უნდა განვაგრძოთ შეჯიბრებები, ეს არის ჩვენი ვალი ჩვენი ერისა და საერთოდ ფეხბურთის წინაშე".

• • •



სურათებზე: კატასტროფაში დაღუპული „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები, რომლებიც თამაშობდნენ ინგლისის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში (მარცხნიდან მარჯვნივ) — მარცხენა გარემარბი დევიდ პეგი, ცენტრალური თავდამსხმელი ტომი ტეილორი და მარჯვენა მცველი, გუნდის კაპიტანი როჯერ ბირნი.

# უძველესი ცნობა ქართული ფარიკაობის შესახებ

ქართველ ხალხს ძველი დროიდანვე ხშირი ლაშქრობა გადაუტანია. გარსშემორტყმული მტრის ურდოების მოგერიება განსაკუთრებულ ფიზიკურ წვრთნასა და გამძლეობას მოითხოვდა. ამიტომაც იყო, რომ ქართველი კაცი იმ დროს მუდამ თან ატარებდა ფარსა და ხმალს, ხანჯალსა და მშვილდისარს.

ფარიკაობა, როგორც ცნობილია, ბოლო დრომდე თუშეთსა, ფშავსა და ხევსურეთში იყო დაცული, იგი პირველად სალაშქრო თამაში უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი ხალხის ფართო ფენებში გადავიდა და მის სამუდამო ვარჯიშად იქცა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი უძველესი ცნობა ქართული ფარიკაობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის 65 წელს საქართველოში ურიცხვი ჯარით შემოიჭრა ცნობილი რომაელი სარდალი პომპეუსი, რომელმაც დალაშქრა საქართველოს მაშინდელი დედაქალაქი მცხეთა. საქართველოს მეფე არტაგმა სასტიკი ბრძოლა გაუმართა რომაელ დამპყრობლებს. ბოლოს არტაგი და პომპეუსი ზავზე შეთანხმდნენ.

რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიუსი იბერიაში პომპეუსის ლაშქრობებთან დაკავშირებით მოგვითხრობს ერთი საინტერესო ამბის შესახებ. მდინარე არაგვის ხეობაში რომაელებს შეხვდრიან იბერიელები — 300 კაცამდე. იბერიელნი შეიარაღებულნი ყოფილან ხმლებითა და ფარებით. პომპეუსის განკარგულებით ფშავ-ხევსურები მასთან მიუწვევიათ. პომპეუსს მათთვის ვინაობა უკითხავს და როცა გაუგია, რომ ისინი მეფე არტაგის მისაშველებლად მიდიოდნენ, უკითხავს — როგორი წესით იბრძოლებდითო ჩვენთან. მაშინ ეს 300 კაცი ჯერ ორ ნაწილად გაყოფილა, შემდეგ ხმლებითა და ფარებით ფარიკაობა გაუმართავთ, რითაც ბრძოლის საინტერესო სანახაობა წარმოუდგენიათ.

რომაელთა სარდალს და მის ამალას ძლიერ მოსწონებიათ ოსტატურად შესრულებული ქართული ფარიკაობა. პომპეუსს შეუქია ისინი და დაჯილდოებული გაუსტუმრებია.

ისტორიკოს დიონ კასიუსის შრომა გამოუყენებია ვაჟა-ფშაველას თავის ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველები", სადაც იგი წერს: „როდესაც პომპეიმ გამოიარა ურიცხვის ჯარით, მაშინ „ფხოველნი" რიცხვით სამასი კაცი დაუხვდნენ წინ ანანურში და გზა შეუკრეს. პომპეის გაუკვირდა ამ ერთი მუჭა ხალხის გამბედაობა, მიიწვია თავისთან, გამოიკითხა ვინაობა: ვინა ხართ? გყავთ მეფე თუ არაო? ფხოველთ უპასუხეს, რომ თვით მეფისაგან არიან ისინი დაყენებულნი მეფის კარის მცველებად. როგორ ომობთ, მებრძვით, ჰკითხავდა პომპეი, რა ვინცობაა მომესია თქვენთვის ჩემი ჯარიო? მაშინ ფხოველთ გაიძრეს ხმლები, იფარეს ფარები და დაესივნენ ერთმანეთს. პომპეი გაკვირვებული დარჩა მათი ხელმარჯვეობით იარაღის ხმარებით, დაასაჩუქრა, აღუთქვა თავისუფლება და გაისტუმრა". (იხ. ვაჟა-ფშაველა თხზ. ტ. ... გვ. 8).

როგორც ჩანს, რომის ოფიციალური ისტორიკოსი დიონ კასიუსი იმდენად დაინტერესებულა ქართული ეროვნული ფარიკაობით, რომ ჩაუწერია ცნობა ამ საინტერესო ტემპერამენტით აღსავსე თამაშის შესახებ თავის თხზულებაში.

ვ. ხიდამონიძე

რედაქტორი ი. უგულავა

1 2 3 გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 0025